№ 263 დეკემბერი 4, ხუთშაბათი 1886 დეკემბერი 4, ხუთშაბათი **№ 263**

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დკრიქერთვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი
ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 3 დეკემბერი

ცოდნა-განათლებამ მას აქედ მოიგიდა ფეხი ქვეყანაზედ, როცა პირველ-ყოფილნი კაცთა საზოგადოებანი დაეწყვნენ ხვნა-თესვისათვის. ხვნა-თესვა იყო მაშინ ერთად-ერთი მრეწველობა, რომელიც თავდებობას აძლევდა კაცს, რომ იგი ხვალ მშიერი არ მოკვდება. თქმა არ უნდა, რომ ცოდნა-განათლებაც და თვითონ ხვნა-თესვაც იმ ძველის-ძველს დროს ფეხ-აუდგმელს ბავშვს ეგვანებოდა, ჯერ კიდევ აკვანში მწოლარესა და ამიტომაც, თვითონ მრეწველობა უღონო იყო და უღონო იყო იგი იმედიცა, რასაც იგი აძლევდა ხვნა-თესვისათვის დაბინავებულს კაცსა. ამისთანა ყოფაში ეკონომიური მოძრაობა ამ მრეწველობისა მარტო იმაზედ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომ თვითონ მომქმედისათვის საკმაო საკვებავი ეძლია და ნატვრა კაცისა ცალკედ და საზოგადოებისა საერთოდ ამაზედ ზევით არ მიდიოდა. დიდი დრო და ხანი შეალია ადამიანმა, ვიდრე ხვნა-თესვას იმ დონეზედ დააყენებდა, რომ საკმარისი ეძლია. ამიტომაც როცა პირველ-ყოფილ საზოგადოებათა ბნელს ცაზედ ვხედავთ პირველს ალიონს ცოდნა-განათლებისას, თავისის მკრთალის და უღონო სხივითა ძლივ-ძლივ მბჟუტვარეს, მაშინ ეგრედ წოდებული აღებ-მიცემობა არ არსებობს. აღებ-მიცემობას რაც მეტია, ის გააქვს და რაც ნაკლებია, ის შემოაქვს და როცა რაიმე მრეწველობა ჯერ იმ ფეხზედ სდგას, რომ თვითონ მრეწველს ძლივს უძღვება, მაშინ ჭირნახულის ნამეტანობაზედ ხმაც არ ამოიღება.

როდესაც რჯული, სარწმუნოება და მართლიერება მოსწყვეტს ძალას კაცის სიმხეცეს და გასწვრთნის მშვიდობის-მყოფელს და შრომის-მოყვარე მუშასა, მაშინ მრეწველობა ჰმატულობს, მაშინ კაცი ირჯება სხვისათვისაც, რომელსაც თავის ნამეტანს აძლევს იმისათვის, რომ მას მისი ნამეტანი გამოართვას თავის ნაკლებულობის შესავსებლად. ამ გზით გაღონიერებული მრეწველობა დღე და დღე წარმატებაშია და ამ წარმატებას მოსდევს თვითონ კაცისა და და ერის სიმდიდრეცა. ნამეტანი ამ სიმდიდრისა, რომელიც შინ მოსახმარად აღარ უნდება, ჰხდება აღებ-მიცემობის საგნად და იმართება ხალხთა შორისი აღებ-მიცემობა და ვაჭრობა.

ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათა-მოქმედებაა ყოველ-გვარი, იმიტომ-რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას. ამიტომაც ვხედავთ, რომ არ არის იმისთანა ქვეყანა, საცა ეს გვარი მრეწველობა არ არსებობდეს. ხოლო, როცა საერთო წარმატების გამო მკვიდრთა რიცხვი მრავლდება, ანუ მიწა ბუნებითად უღონოა საკმარისის ჭირნახულის მოსაყვანად, ანუ თვითონ მიწა ცოტაა, მაშინ ერი, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი, იძულებულია პირველ საჭიროების საგანი სხვიდამ, გარედამ შემოიტანოს და მის სამაგიეროდ იგი აძლიოს, რაც იქ უჭირთ და არა აქვთ კი. ამ გზით ერთი ერი მეორეს იოლად მიჰყავს და ერთი მეორესა ჰშველის. სამეურნეო მრეწველობის თავი და თავი ნაამაგარი პურია. ამას, როგორც უპირველესს საგანს ადამიანის ცხოვრების საჭიროებისას, პირველი ადგილი უჭირავს სხვა სავაჭრო საქონელთა შორის. ამ უკანასკნელ საუკუნოებში მისი მნიშვნელობა თან-და-თან ჰმატულობს და საქვეყნო ბაზარში დიდი მოედანი უჭირავს.

1770 წლის შემდეგ ევროპიის სახელმწიფოთა შორის პირველად ინგლისი შეიქმნა იძულებულ სხვიდამ დაეწყო ზიდვა პურისა და თუმცა სამეურნეო მრეწველობა თვის უმაღლეს წერტილზეა იქ დაყენებული, მაგრამ შინაური მეურნეობა და ხვნა-თესვა ვეღარ იძლევა ინგლისის მცხოვრებთათვის სამყოფს პურსა. ჩვენს კავკასიელთ და ნამეტნავად საქართველოს მკვიდრთა, მადლობა ღმერთს,— ჯერ არამც თუ პურის სხვიდამ შემოტანა არ უჭირთ, ამ უკანასკნელ ხანებში სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში აქედამ გააქვთ კიდეც. სიმინდის გატანა ჩვენის ქვეყნიდამ, იმერეთიდამ, გურიიდამ და სამეგრელოდამ დაიწყეს ამ 20-ის წლის წინად, პურისა კი სულ ამ ორსამ წელიწადში. ამიტომაც დიდად საინტერესოა გამოვიკვლიოთ—ეს ახლად დაწყებული ვაჭრობა რამდენს სარგებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანასა, რამდენად ხელს მოუმართავს ჩვენს სამეურნეო მრეწველობას. ჩვენ ვეცდებით ამ მხრით ცნობის-მოყვარეობა ჩვენის მკითხველისა, ჩვენის შეძლებისამებრ, ცოტად თუ ბევრად დავაკმაყოფილოთ.

ა. ფ—გი

ახალი ამბავი

*** დღეს, საღამოზედ, ტფილისის საქალაქო საბჭოს ექმნება საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ახალის თეატრის შენობის დამთავრების საქმე. მკითხველმა უკვე იცის, რომ მთავრობამ სთხოვა ქალაქს, თვად იტვირთოს ეს საქმე. საბჭომ ეს საგანი გარდასცა კომისიას, რომელიც დღეს თავის მოსაზრებას მოიხსენებს საქალაქო საბჭოს საგანგებო კრებაზედ.

*** დეკემბრის 8-ს დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება მოისმენს სხვათა-შორის ბ-ნის არასხანიანცის მოხსენების დასასრულს პურის ვაჭრობის თაობაზედ ამიერ-კავკასიაში.

*** ბექათუბნითგან გვწერენ: გიორგობისთვის 22-ს, ღამის თორმეტ საათზე, ბექათუბნის რკინის გზის სადგურზე დაიკარგა ოთხი ტომარა ერეენული პური, რომელიც იქვე ვაგონებზედ იყო დაწყობილი. ქურდისთვის გათენებას მოესწრო, მოპარულის ტომრების დამალვა ვეღარ მოეხერხებინა, აელო და იქვე მდინარის ნაპირზედ დაეყარა. ამას წინად კიდევ აქ დაიკარგა ორი კონა დახერხილი კაკლის ფიცრებიო. ეს ფიცრებიც იმავე ქურდის სახლში იპოვნეს, რომელმაც ტომრები მოიპარა. რკინის გზის პოლიციამ გამოძიება უკვე მოახდინა ამ საქმის გამოვო.

*** სურამითგან გვწერენ: გუშინწინ, ნოემბრის 30-ს, ღამე ხაშურში გაქურდეს გლეხი ქურდაძე. აი რა ნაირად მომხდარა ეს ქურდობა: საწყალს ქურდაძეს ამ დღეს ცოლი ავად გახდომია და რადგანაც სახლი ძრიელ ცივი ჰქონია — გადასულა სითბოს გულისთვის თავის ბოსელში. იმ დროს, როდესაც ქურდაძეს ღრმად

ფელეტონი

ქართული თეატრი

ჩვენის თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ სათეატრო თხზულებანი არა გვაქვს. რომ ჩვენი საკუთარი, ჩვენ-მიერ ქმნილი, ჩვენის ცხოვრებიდამ ამოღებული თხზულებანი არა გვაქვს—ეგ ადვილად მისახვედრელია. ამას ბევრი საპატიო და შესაწყნარებელი მიზეზი აქვს და იმ ბევრში ერთი ისეთი რამ შეგვიძლიან დავასახელოთ, რომ იმის გაგონებაზედ კაცი თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ მაინც კი იტყვის: რაკი ესრეა, აქ კისრად უნდა ვიდოთ იგი მიზეზი და დავდუმდეთო. ის „ერთი ისეთი რამ“ ის გახლავთ, რომ მწერალი არა გვყავს. ამ არ-ყოლას ყოლად ვერავინ გარდაჰქმნის, ღვთისა და ჩვენის წარმატების მეტი და ამიტომაც იგი სამდურავი, რომელიც ამ მხრით ისმის ჩვენს დრამატიულს საზოგადოებაზედ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, მოშლილის წისქვილის რახუნია და მოკლე ჭკუის უჯიათობა და ჭირვეულობა. ამაზედ ჩვენ ადრევაც გვილაპარაკნია და ეხლა კვლავ იმისი განმეორება მეტის-მეტი დაბრიყვება იქნება კალამისა და მკითხველის გულ-კეთილობისა.

ჩვენ დღეს გვსურს ყურადღება მივაქციოთ სხვა გვარს თხზულებას ჩვენის რეპერტუარისას, ესე იგი, თარგმნილსა და გადმოკეთებულს სხვა ენებიდამ. ამ მხრით არ ითქმის, რომ ჩვენი რეპერტუარი მეტად ღარიბი იყოს: ამ გვარი თხზულებანი საკმაოდ ბევრი აქვს ჩვენს თეატრსა. მაგრამ გონება კი რომ ააყოლოთ, დაინახავთ, რომ ამ რიცხვით ბევრს, ძალიან ცოტა სიკეთე სჭირს ღირსებისა. იქნება ორიოდე ამ გვარი თხზულება ამ საზომში არ მოვიდეს, რადგანაც ზოგიერთს ნათარგმნს და გადმოკეთებულს თხზულებას ღირსების მხრითაც შეიწყნარებს ადამიანის გაწვრთნილი გემოვნება, მაგრამ უმრავლესობა კი თითქმის ყოვლად უღირსია; ამაზედ არა გვგონია აგვიხირდეს ვინმე. ჩვენ ამ უღირსთა თხზულებათა ჩამოთვლას არ მოვუნდებით; ჩვენ ერთი რამ გვაქვს სათქმელი.

რაკი კაცი იცლის სხვა ენიდამ თხზულების გადმოღებისა და გადმოკეთებისათვის, რაკი ამაზედ მიიზიდა მისი ხალისი და რაკი ამისათვის შრომა და ჯაფა იტვირთა, რატომ იმისთანა სათარგმნელს, თუ გადმოსაკეთებელს არა ჰკიდებს ხელს, რომელიც სულის მარგებელიც იყოს და ხორცისაც. აი რა გვაკვირვებს ჩვენა. ამის მიზეზს გამორკვევა უნდა. რომ ვსთქვათ,—სხვა ენებზედ კარგი თხზულებანი არ არის და ამას დავაბრალოთ უხეირობა ნათარგმნებისა, აშკარა ტყუილი იქნება. ასარჩევად ამ შემთხვევაში მეტად დიდი და გადაშლილი მოედანია. რუსული, ფრანგული, გერმანიული, იტალიური და ინგლისური სათეატრო თხზულებანი იმდენია, რამდენიც კი შესაძლოა ადამიანის ხარბმა გულმა ინატროს და დაიტიოს. თქმა არ უნდა, რომ ამ უზარ-მაზარ თხზულებათა ხვავში ბევრი კარგია და ბევრი ცუდი. ჩვენი მთარგმნელი სათოფე ნადირსავით გაისისწვრებს ხოლმე, ილის, ილის და ზედ კი წააწყდება მარტო ცუდსა, უფერულსა, რომელიც არც სააქაოსია და არც საიქიოსი. თავის გასამართლებლად დაუჟინიათ, სასაცილოა და იმიტომ ვსთარგმნეთო. განა თავი და ბოლო სათეატრო თხზულებისა მარტო სიცილია და სხვა არაფერი!

არ ვიცით რა საბუთით და ამბობენ კი: ჩვენს საზოგადოებას სასაცილო წარმოდგენანი უფრო იზიდავს, ვიდრე ნაღვლიანნი და ჩამაფიქრებელნიო. ჩვენ არ გვესმის ამისთანა ლაპარაკი. ქართველიც იმისთანა კაცია როგორც სხვა და ამიტომაც არა რა კაცებური არ უნდა ეცნოებოდეს. ბუნება ცრემლისა და სიცილისა, ჩვენის ფიქრით, ერთისა და იმავე სათავიდამ მოდის. იგი შეკუმშვა ადამიანის ძარღვისა, რომელსაც სიცილი თუ ცრემლი მოსდევს, მწუხარებისაგანაც მოიცლინება და მხიარულებისაგანაც. ამიტომაც ხშირად ცრემლსა ჰხედავთ იქაც, საცა დიდი სიხარულია და სიცილს იქაც, საცა დიდი სატირალია. ხოლო პირველს შემთხვევაში ცრემლს სიტკბო აქვს სიცილისა და სიხარულისა და მეორეში სიცილს—სიმწარე ტირილისა და მწუხარებისა. როცა ადამიანის სული და გული ძლიერ არის აღძრული, მაშინ ერთი მეორის ადგილს იჭერს და მთელი დრამა სიცილისა და ცრემლისა სწორედ ამაშია. საშინელია, როცა გული სტირის და კაცი ტირილის მაგიერ სიცილით ქვითინებს; მეტის-მეტად მომხიბლავია და დამატკბობელი, როცა გული სიხარულით უმღერს კაცს და ცრემლით კი იცინის და მხიარულობს. უდიდესი გამოცხადება, უდიდესი ზედმოქმედება ადამიანის გულზედ, თავით-ფეხებამდე ზარ-დამცემი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორის ადგილას ჰხედავთ, თუმცა მიზეზი მოვლინებისა ერთისაა და არა მეორისა.

კიდევ ვიტყვით,—არა გვგონია, იმ ცრემლზედ უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა იგი ჰქონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან და იმ სიცილზედ უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ჰხარხარებს უბედურობისა და მწუხარების სავსე-

დასძინებია, შესულა ამის სახლში ქურდი და, რაც ხელთ მოხვედრია, სულ გამოუტანია და წაულია.

⁂ ბათუმითგან გვწერენ: ამ დღეებში ჩვენს ქალაქ ბათუმში სომხის სცენის მოყვარეთ წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენა იყო გამართული სამადლო აზრითა. აქედგან შემოსული ფული უნდა მოჰხმარდეს იმ საერო სკოლას სომხებისას, რომელსაც ბათუმში უპირებენ გამართვას. ამ წარმოდგენამ ნამდვილად დამარწმუნა, რა ძრიელია სომხებში გრძნობა ქველობისა. ისე იყო სავსე თეატრის დარბაზი ხალხით, რომ ნემსის ყუნწი აღარ ჩაიგდებოდა. მერე რა ხალხი, ვინ?—მთელის ბათუმის სომხობა, უბრალო მეწვრილმანითგან დაწყობილი შეძლებულ ვაჭრამდის,—ქალი, კაცი, მდიდარი, ღარიბი ფეხზე დადგა: არიქა, სამადლო საქმეს დავეხმაროთო!

სწორედ რომ ჩვენმა საზოგადოებამაც უნდა მიჰბაძოს აქაურს სომხობას ამ გვარს ღვთისა და კაცისაგან მოსაწონ საქმეში. სიმართლე ითხოვს სწორედ ვსთქვათ, რომ ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო ადგილობრივმა სომხების ტერტერამ ტერ-კოტემ. ამ გვარს საქმეებში ეს სულიერი მამა სომეხთა ყოველთვის თავდარიგიანად და ჰკვიანურად იქცევა. ამ მამა ტერ-კოტეზედაც რომ მივუთითოთ ჩვენს სულიერს მამებს, არ იქნება ურიგო. დიდი შემოსავალი იყო. ღმერთმა მოახმაროს კეთილს საქმეს!

რამდენადაც თვალს ვადევნებ ჩვენს პროვინციებს გაზეთის საშუალებით, არ შევსცდები, თუ ვიტყვი, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენს პროვინციებში ამ გვარს საქმეზე კრინტი არსაიდამ იძვრის. ბათუმელი ქართველები კი მგონი გამართვენ წარმოდგენას. პიესები დაუბარებიათ დრამატიულ საზოგადოების თავ-მჯდომარისაგან — თ. გ. თუმანიშვილისაგან. ამ გვარს საქმეში ბათუმელ ქართველებს ვერც ერთი ჩვენი პროვინციის ქართველობა ვერ უკიჟინებს.

⁂ დღეს საზაფხულო თეატრში დანიშნულია ბენეფისი სომხების არტისტის ბ-ნის ადამიანისა. წარმოადგენენ შექსპირის ტრაგედიას «მეფე ლირი».

⁂ გაზ „კავკაზი“ ამბობს, რომ მერმისიდამ სომხური გაზეთი «მეღუ ჰაისტანი» მოისპობაო და იმის მაგიერ ამავე სახელ-წოდებით ყოველთვიურის ჟურნალის ბეჭდვა ჰსურს ნორ-დარის რედაქტორს ბ-ნს სპანდარიანსაო. ამ აზრით, სპანდარიანმა უკვე გაჰგზავნა პეტერბურგში თხოვნაო.

⁂ ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ოსმალეთის კონსულს ბათუმში მოუწერია ზოგიერთის ტყის პატრონთათვის, გამომიგზავნეთ ნიმუშები კაკლის ხისა და თუ ეს ხე კარგის თვისებისა აღმოჩნდება, პირობით შეგეკვრებით, ამდენი-და-ამდენი ხე გამოჰგზავნოთ ბათუმში ოსმალეთში გასაგზავნადაო. ახლა იმავე კონსულს მოუწერია იმავე ტყის პატრონთათვის, რომ წითელის ხის ნიმუშებიც გამომიგზავნეთო. წითელი ხე ბლომად იზრდება სხვათა-შორის შავის ზღვის ნაპირას, ბათუმის ახლო. ეს ხე უფრო მაგარია მუხაზე და ხმარობენ ხარატნი, სახლის ავეჯისა და აგრეთვე ეტლების მკეთებელნიო. ფუთი წითელი ხე 1 მანათზე ძვირად არა ფასობსო.

⁂ 24 ნოემბერსაო, სწერს გაზ. „კავკაზს“ სიღნაღელი კორრესპონდენტი, გამოაცხადეს მომრიგებელს სასამართლოში განაჩენი ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითის განყოფილებისა თუქურმიშის ფოსტიდამ 15,000 მანათის მოპარვის თაობაზედაო. ფული დაიკარგა ფოსტის კანტორიდამ 1884 წელს. მთავრობამ ბევრი ეძება ქურდები, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ვერ აღმოაჩინა. პირველად გუმანი მიიტანეს ფოსტის გამგებელს დათიევსა და მის ცოლზე. დათიევი და მისი ცოლი დიდხანს იყვნენ დაპატიმრებულნი ციხეში. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გაანთავისუფლეს ეს საცოდავნი წვრილშვილის პატრონი ცოლ-ქმარნი, რომელნიც სრულიად უდანაშაულონი აღმოჩნდნენ. კანტორა გაექურდნა მაშინდელს ფოსტალიონს აზნაურს ალექსანდრე გომელაურს, იასაულს სვიმონ ხარაშვილს და მირზაანელს მცხოვრებელს სვიმონ ტარაშვილს. დაკარგულის ფულიდამ აღმოჩნდა მხოლოდ 10,000 მან სამს დამნაშავეს და აგრეთვე იმათაც, ვინც ან იცოდა ეს ამბავი და ჰმალავდა, ან ჰშველოდა უმთავრესს დამნაშავეთ ქურდობაში, სხვა-და-სხვა სასჯელი გადაეწყვიტათ დანაშაულის სიმძიმის მიხედვითაო.

დამაკვირდი!

ყველაზედ მჭევრ-მეტყველი ქადაგება მაგალითია. (სტოზე)

**

ჩვენ ხშირად შევუნდობთ ხოლმე იმათ, ვინც თავს გვაბეზრებს, მაგრამ არას გზით არ შევუნდობთ ხოლმე, ვისაც ჩვენ თვითონ ვაბეზრებთ თავსა. (ლა როშფუკო)

**

ერთი ნიშანი ჭკვა-მოკლეობისა იგია, როცა კაცი დაიწყებს ამბების თქმასა და აღარ ათავებს. (ლაბრუიერი)

**

მაშა ლხინსა ვინ მოიმკის
პირველ ჭირთა უმუშაკო. (რუსთაველი)

**

მხნე ყველგან პატივს იშოვნის,
სადაცა იყოს რჩეული. (ვახტანგ მეფე)

**

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.
(დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა სურამი, 10 გიორგობისთვეს. დაბა სურამს თავის მშვენიერის ადგილ-მდებარეობით და მარგებელის ჰაერით პირველი ადგილი უჭირავს ზემო-ქართლში. სურამის შუა, სიგძლივ მოჩხუის სურამულა. ეს მდინარე შესდგება ორის ტოტისაგან: ერთს ჰქვიან ურთხვის ღელე და მორბის ჩრდილოეთით აბაზაძეების მთიდგან; მეორეს—ჩუმათელეთულა და გამომდინარობს ჩრდილოეთ დასავლეთით ჩხეიძის მთიდგან. ამ მთაში წელს შემთხვევით აღმოაჩინეს მარგანეცი, შავი-ქვა. გავარდა თუ არა ხმა, რომ მარგანეცი გამოჩნდაო, მაშინვე მრავლად მოიყარეს თავი სურამში ამ მადნის შემუშავების მსურველებმა. დაიწყო მოცილობა და კამათობა. მოცილეთა შორის იყო აქაური მცხოვრებელიც ბ-ნი ყ. მაჭავარიანი, რომელსაც, როგორც შეძლებულსა და გამოცდილს კაცს, დარჩა გამარჯვება. მაჭავარიანი გაურიგდა თავადს ჩხეიძეს რამდენისამე წლით ფუთს მარგანეცს სამ კაპეიკად და მისცა ორი ათასს ხუთასი მანეთი ბეი შემდეგის პირობით: უკეთუ არ გამოჩნდებოდა აქ ნამდვილი შავი-ქვა, მაშინ თავადი ივანე ჩხეიძე მოვალე იყო, დაებრუნებინა უკან მაჭავარიანისაგან მიღებული ხსენებული 2500 მანეთი ბეი. შავი-ქვა გასინჯეს მცოდნე კაცებმა და სრულიად ის არ აღმოჩნდა, რასაც ჰფიქრობდნენ მოცილენი. ზოგნი-კი მაინც ამას ამბობენ ამ ქვაზედ: ეს ქვა ნამდვილი მარგანეცია, მაგრამ ძრიელ დიდს მუშაობას თხოულობს და ამიტომ ვერავის გაუბედია, რომ ხელი მოჰკიდოსო.

სურამულას დაყოლებაზე შემდეგი სოფლებია: ხაშური, ზემო-ქალა და ოსიაური. ზემო-ქალა და ხაშური თითქმის გაერთიანებულია. ამ ორ სოფელ შუა აშენებულია მშვენიერი სასოფლო სკოლა. ამ სკოლაში სამი მასწავლებელია. ერთი მათ შორის სამღვთო წერილს ასწავლის. ამათის ცდილობითა და მუყაითობით სწავლა აქ რიგიანად და წესიერად მიდის. ამ სკოლაში შეგირდები ბლომად არიან, რუსული წიგნებიც ბევრი აქვთ, მაგრამ ქართულ ენაზედ „დედა-ენის“ გარდა სხვა წიგნი არ მოიპოვება. ასე რომ მესამე, მეოთხე და მეხუთე განყოფილება ამ სკოლისა უწიგნოთ არიან. ჯერ-ჯერობით ამ სკოლას არა აქვს აგრეთვე ქართული დედანი და შეგირდები ყველა განყოფილებაში სწერენ უმსგავს ირიბულს ხელს. სურამის სკოლასაც ნაკლებად აქვს ქართული წიგნები. სურამში სამასოც-და-ათამდინ მცხოვრებელია: 156-ი კომლი სომეხი; 70-ი ურია; 43-ი ქართველი გლეხობა; 24-ი თავადი და აზნაური და 36-მდე სხვა-და-სხვა უწყების მოსამსახურე კაცი. საზოგადოდ მომეტებული წილი სურამელებისა ვაჭრობითა სცხოვრობს. ვაჭართა შორის სიმდიდრით უფრო დაწინაურებულია სომხობა, ვიდრე ქართველობა და ურიები, თუმცა ამათშიაც მოიპოვება თითო-ოროლა მდიდარი, შეძლებული კაცი.

ზოგიერთი სურამელები ხვნა-თესვასაც მისდევენ. აქ, სურამის გარშემო, მშვენიერი ნაყოფიერი მიწებია და მოსავალი ყოველთვის კარგი მოდის მაგალითად, წელს აქეთ როგორც პურის მოსავალი, აგრეთვე სიმინდისა და ლობიოსი ძრიელ სანაქებო იყო. თუმცა წელს სურამის ახლო-მახლო სოფლებშიაც უფრო კარგი მოსავალი იყო შარშანდელზედ, მაგრამ ჰირნახული წელს უფრო ძვირია, ვიდრე შარშან. მაგალითად, შარშან კოდი წმინდა პური სამ მანეთად ისყიდებოდა, წელს-კი ამ ნაირივე პური კოდი ღირს არა ნაკლებ ოთხის მანეთისა. ასეთი სიძვირე ჰირნახულისა, რასაკვირველია, ფოდრაჩიკების ბრალია, რომელთა შორისაც მომეტებული ნაწილი ბერძნობა და სხვა-და-სხვა რჯულის კაცია. სურამში ვენახები ცოტაა, თუმცა გვარიანი და ტკბილი ღვინო დგება.

სურამში თუმცა რიგიანი, გამოცდილი და მცოდნე ხალხია, მაგრამ საზოგადო საქმეში გამჭრიახობას ვერ იჩენს. მაგალითად, ავიღოთ სურამის განათების საქმე ფარნებით. არა ერთხელ გაამწკრივეს ფარნები ქუჩებზედ, მაგრამ ისე დაიმტვრნენ ფარნები, ისე დალპნენ ბოძები, რომ ფარნებში ერთხელაც არ აუნთიათ არც ნავთი და არც სანთელი. წრეულსაც კიდევ ეს ექვსი თვეა თითქმის, რაც დამართეს ფარნები, მაგრამ სანთელი და ნავთი არ გააჩინეს, რომ ზოგიერთ სურამის ბინძურ ქუჩაზედ თავისუფლად გაიაროს კაცმა ღამე. სურამს რომ რაიმე შემოსავალი ჰქონოდა, აქაურმა საზოგადოებამ მოინდომა საყასბო იჯარით გაცემა და საწონის გამართვა. ამაზედ განაჩენი უკვე დაადგინეს და მგონი კიდეც წარადგინეს, სადაც ჯერ არს.

ბისაგან. აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა და გონება-მიუწვდენელის თილისმითა დიდს ბოროტსაც, დიდს მწუხარებასაც, როგორც დიდს კეთილსა და დიდს ბედნიერებას, ადამიანის გულში ჩააფენინებს ხოლმე მადლის მაცხოვარს შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძავად და მერე მშვენიერ ყვავილის გარდასაშლელად. ამაშია მომხიბლავი ძალი და არსებობის მიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ და სათეატროსი საკუთრივ. იგი გრძნობა, იგი ღონე, რომელსაც ეს შუქი ჩააქვს ადამიანის გულში, ესტეტიური გრძნობაა. ეს გრძნობა უზენაესს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება, თუ ტირილი, ბოროტი იქნება, თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარ-დამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულ-წამტაცი კეთილი, იმიტომ-რომ ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისათვის და კეთილი ხომ კეთილია. სისხლის მსმელი, კაცის მკვლელი მაკბეტის ავთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალით, და ესტეტიურის გრძნობის შეხედულობით, როგორც გულ-კეთილი, გულ-წრფელი და კეთილ-მომქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულებაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს ერთი ბოროტის უარ-ყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებითა. ერთიც და მეორეც, მართლად მიმავალი, ესტეტიურს გრძნობას საამურად მიაჩნია და იქნება პირველს შემთხვევაში სიტკბოება უფრო მეტიც იყოს ესტეტიურ გრძნობისათვის, ვიდრე მეორეში, იმიტომ-რომ პირველ შემთხვევაში უფრო ძლიერ იძვრის ადამიანის გული, უფრო დიდს ჭრილობას და ტკივილს ადამიანის გულისას აყუჩებს იგი დიადი ძულება, რომელიც იბადება დიდის ბოროტის დანახვაზედ. ხორცის ტკივილიც განა ამავე კანონს არ ექვემდებარება! რამოდენადაც დიდია ტკივილი ხორცისა, იმოდენად საამურია მისი დაყუჩება და დაამება. ეს ყველას ექნება გამოცდილი თავის თავზედ.

ამ სახით კაცმა რომ სთქვას, ამა-და-ამას ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილით, მხიარულებით, სალხენით უფრო იზიდავს, ვიდრე ცრემლით, ნაღვლით და მწუხარებით, იგი სცდება. ჩვენის ფიქრით, აქ მარტო ესტეტიურს გრძნობაზედ უნდა იყოს ლაპარაკი და სხვა არა რაზედ და თუ ეს გრძნობა სიცილის აღსაბეჭდად გაღვიძებულია, არ არის მიზეზი რომ ნაღვლის აღსაბეჭდად მძინარე იყოს. ცალის თვალით ღვიძილი მარტო კურდღელმა იცის და ესტეტიურს გრძნობას კი ერთის თვალით გაღვიძება არ შეუძლიან, ისე რომ მეორეც არ ღვიძარეობდეს. საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილისა, თუ ტირილისა თავისის თილისმითა ჰქმნიდეს ხატს ესტეტიურის გრძნობის გამოსაწვევად. აქ სხვა არაფერია საჭირო და კაცი ყოველთვის ერთ ნაირად მიზიდულ იქმნება.

თუნდ ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, და ეს ვიკითხოთ: განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა! სიცილიც არის და სიცილიცა. უაზრო, უმიზეზო სიცილი ლაზღანდარობაა და მთელი სამი-ოთხი საათი, რომელსაც ჩვენ თეატრში ვატარებთ, რომ მარტო ლაზღანდარობას მოვახმაროთ, ჯერ ერთი რომ მოსაწყენია და მერმე—ტვინის გამოლაყებაა. კაცმა სამი და ოთხი საათი სულ იცინოს სალაზღანდარო სიცილითა და ერთად-ერთი სულის მაცხოვნებელი აზრი მაინც არ ჩაიყოლიოს გულში, სწორედ მოგახსენოთ, მეტის მეტი ჭირია. მხიარულობა, სიცილი კარგია, მაგრამ ვერც მხიარულება, ვერც სიცილი, ვერც ვერაფერი სხვა სიამოვნება ვერ გაუძლებს მომაბეზრებელს თვისებას ხანგრძლიობისას, ერთნაირობისას და უაზრობისას. ხანგრძლივი და ერთ ნაირი ლხინი ბოლოს ჭირად გარდექმნება ხოლმე კაცსა. ეგ იმიტომ, რომ ისე მალე არა ჰღალავს რა კაცს და, მაშასადამე, ისე არა უხდენს რა გუნებასა, როგორც გრძელი, გაუთავებელი უაზრო ლხინი და სიცილი. ყველას თავისი სამზღვარი აქვს და თავისი მიზეზი. მოკლე ვოდევილის მხიარულს უაზრობას სიამოვნებით აიტანს მაყურებელი, მაგრამ სამ და ოთხ მოქმედებიანს სიცილის გუდას არა გვგონია გაუძლოს ადამიანის გულმა. ამაოდ სცდებიან ვისაც ჰგონია, რომ რაკი ამ სიცილის გუდას პირს მოეუხსნი, მაყურებელს თავს მოვაწონებ და თეატრსაც სამსახურს გავუწევო.

მარილიანს, ჯანიანს და მარგებელს სიცილს აზრი უნდა, მოშველიანებულად საბუთი უნდა, ადამიანის გულის ძარღვთაგან მოქსოვილი იმ მრავალ ფერობით, რითაც ასე მდიდარია ცხოვრება და ადამიანის გული—ეს უტყუარი სარკე ცხოვრებისა. როგორც უმიზეზოდ მტირალა კაცი საზიზღარია, ისეც უმიზეზოდ უაზროდ მოცინარიცა. დაუჯერიათ, სასაცილოაო!.. ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესტეტიური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს, თავის შვილად ვერ გაიხდის. სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდიქმნეს ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ უგემურ კნავილად.

ეს ხშირად ავიწყდებათ ჩვენს საკუთარს ავტორებსაც, მთარგმნელებსაც და ზოგჯერ ზოგ-ზოგ ნიჭიერ არტისტებსაც. სადა ჭეშმარიტს სიცილს, ან ჭეშმარიტს ცრემლს ვერ აჰრეინებენ, იქ სიცილი ლაზღანდარობაზედ გადააქვთ და ცრემლი უმარილო კნავილზედ.

ერთი ამისთანა პიესა, რომელიც,—სწორედ უნდა სთქვას კაცმა,—ამ გვა-

დასამტკიცებლად. თუ ეს ზემოხსენებული საქმე შესრულდა, მაშინ მართლაც რიგიანი შემოსავალი ექმნება სურამს; მეტადრე თუ რომ ამ შემოსავალს დაუმატებთ შემოსავალს ადგილობრივის ნატარიუსისასა. სურამს, როდესაც ეს შემოსავალი ექმნება მუდამ, მაშინ აქაურის ერთ კლასიანის სასწავლებლის საქმე ჩინებულად წავა და ეს ხომ პირველი საქმე უნდა იყოს ყველგან.

სკოლისა და ნატარიუსის გარდა სურამში არის კიდევ მომრიგებელის სასამართლოს განყოფილება, სამხედრო სამკურნალო სადგომი, პოლიცია და ტელეგრაფი. ამას გარდა აქაურებმა მოიწადინეს ფოსტის განყოფილების დაარსებაცა, მაგრამ, რადგანაც საფოსტო ტელეგრაფის უწყების ცირკულიარის ძალით, საფოსტო განყოფილების გასამართავად უნდა წარედგინათ 300-ი მან. მთაერობისათვის, ამისათვის ამ საქმემ ცოტა არ იყოს დაიგვიანა. დღეს ამ საქმისთვის 250-ი მან. უკვე შეკრებილია. ეხლა სრულიად გათავება ამ საქმისა დამოკიდებულია 50 მანათზედ, რომელიც ვერ შეუკრებიათ ჯერ-ჯერობით. სურამში სამკურნალო წყლები და აბანოები არ არის, სურამი თავის მარგებლის ჰაერით არ დაუვარდება: ბორჯომს, მანგლისს და კოჯორს. თუმცა ზაფხულობით აქ საზაფხულო სახლები ძვირია და სამხიარულო გასართობიც არაფერია, მაგრამ ჰაერის გულისთვის ხალხი მაინც კიდევ ბევრი მოდის. შემდეგში უთუოდ იმატებს რიცხვი ჩვენის საზაფხულო სტუმრებისა, რადგანაც სურამელებმა გადასწყვიტეს კლუბი დააარსონ და დროს გატარება მხიარულად უფრო გააადვილონ. ამ კეთილის აზრის ასასრულებლად ნება-რთვა კიდევაც მიიღეს და კლუბისთვის სახლი უკვე დაიჭირეს. უკეთუ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება გაიმართა, მაშინ სურამი სწორედ სასიამოვნო სამყოფი ალაგი იქნება საზაფხულოდ.

ს. ღონდაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საჭიროა ქალებისთვის უმაღლესი განათლება, თუ არა? — ამაზედ დიდი ბაასია ატეხილი, ბევრი თქმულა და დღესაც კიდევ ბევრსა ლაპარაკობენ. ქალებს ბევრი მოსარჩლე ჰყავთ, თუმცა ქალების განათლების, თავისუფლად მოქმედების და შრომის მტერი უფრო ბევრია. ამათის აზრით ქალი მარტო გათხოვებაზედ უნდა ჰფიქრობდეს. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ თუ ქალმა ამას მიაღწია, უნდა ღმერთს მადლობა შესწიროს და ცხოვრებას მეტი აღარა მოსთხოვოს-რაო. რაკი გათხოვდება ქალი, მისი ცხოვრება ნეტარებად გარდიქცევა,—გათხოვებას მოჰყვება სიყვარული, დედობა, წმინდა მოვალეობის აღსრულება და სხვა-და-სხვა. განა ქალს მეტი ბედნიერებაღა უნდაო?

ყველა ეს ძალიან კარგია, სასურველია, უპასუხებენ ქალების მომხრენი, მაგრამ რას იზამთ, რომ ცხოვრება ხშირად უკუღმართად იქცევა და ბევრს ქალს არ აღირსებს ხოლმე ამ გვარ ბედნიერებასაო.

ბევრი ამისთანა საბუთი მოჰყავდათ კიდევ ქალების მოსარჩლეთ, მაგრამ ვინ ისმენდა ამათ სიტყვას. აი დღეს კი ისეთი მომხრე და მოსარჩლე აღმოსჩენიათ ქალებს, რომლის წინააღმდეგ ხმა ვეღარ ამოეღებათ ქალების მტრებს.

აი გაზეთ „Новости“-ს რა ცნობები მოჰყავს:

> ნამდვილის და უტყუარის სტატისტიურის ცნობებიდამ სჩანს, რომ დღეს ევროპაში ქალი ოთხ მილიონ ნახევარზე მეტია, ვიდრე კაცი. თუ სახეში მივიღებთ, რომ მთელს ევროპაში 363 მილიონამდე მცხოვრებელი ითვლება, მაშ გამოდის, რომ ყოველ 100 ქალზე თითქმის 97 კაცი მოდის. ამ სახით მარტო ერთს ევროპაში ოთხ მილიონ ნახევარი ქალი ძალა-უნებურად უნდა მოკლებული იყოს იმ ბედნიერებას, რომელსაც ერთად ერთ დანიშნულებად, ცხოვრების საგნად სთვლიან ქალების განათლების მოწინააღმდეგენი. რამდენიც ხანი გავა, ეს ბედნიერება უფრო ძნელად მისაღწევი გახდება ქალებისთვის, რადგან იგივე სტატისტიკა უტყუვრად გვიჩვენებს, რომ ყოველ-წლივ ქალების რიცხვი უფრო მატულობს, ვიდრე კაცებისაო.

ნუ თუ ეს უტყუარი და შეურყეველი საბუთებიც საკმაო არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ქალებისთვის საჭიროა უმაღლესი განათლება, რომ უფრო უკეთესი და პატიოსნური იქნება ჯერ თუ გინდ იმ ოთხ მილიონ ნახევარმა ქალმა ამ საშუალებით დაიჭიროს ცხოვრებაში ადგილი, ვიდრე სხვა უკადრისის საქციელით.

⁂

კიდევ ახალი კანდიდატი ბოლგარიის სამთავრო ტახტისა აღმოჩენილა ქალაქ ოდესაში. ეს კანდიდატი ოდესაში სახლის მფლობელი, შეძლებული კაცი გახლავთ, რომელსაც დღევანდელ პოლიტიკისა და მეტადრე ამ ბოლგარიის გაუთავებელ საქმისათვის ისე გულ-მოდგინედ უდევნებია თვალი, რომ ჭკუაც თან გაუყოლებია.

> ამ ბოლოს დროს ეს ახირებული კაციო, მოგვითხრობს გაზეთი „Одесскій Вѣстникъ“-ი, ნათესავებსა თუ ნაცნობებს სულ ბოლგარიაზე, მოღალატე ბატენბერგზე და ევროპაზე ელაპარაკებოდა. ამ დღეებში, ერთ საღამოს, ეს კაცი ქუჩაში უნახავთ: ერთ ხელში უჭირავს თურმე ამოღებული ხასრი ხმალი, მეორეში ექვს-ლულიანი დამბაჩა, თავ-მოღერებული მიდის ქუჩა-ქუჩა და ხმა-მაღლა ჰყვირის, ჩამომეცალენით გზიდამ! განა ვერა ჰხედავთ, რომ ბოლგარიის ტახტის მთავარი მოვდივარ? ჩამოდექით, უკან მომყევით!

შეშინებული ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა, მხოლოდ ერთი პოლიციელი, რომელიც ამ ადგილას შეჰხვდა, არ შეშინდა და დიდი ხერხიც გამოიჩინა თურმე: მივიდა ბოლგარიის მთავართან და წყნარად უთხრა.

> მე მზადა ვარ ავასრულო ყოველი თქვენი ბრძანება და საცა გნებავთ, იქ გამოგყვეთ; მიბოძეთ თქვენი იარაღი, თქვენ არ შეგშვენით იარაღის ტარება,— მე თქვენი „იარაღის-მტარებელი“ გიქნები. უბედურმა „მთავარმა“ დაიჯერა პოლიციელის სიტყვა და მაშინვე გარდასცა თავის იარაღი.

„მთავარი“ გაძგიბული მიდიოდა თურმე წინ. „იარაღის მტარებელი“, ე. ი. პოლიციელი უკან მისდევდა და ეუბნებოდა, რა გზაზე უნდა წასულიყო. ამ სახით „მთავარი“ პოლიციაში მიიყვანეს. აქ დიდ-ძალი ხალხი შემოეხვია უცნაურს „მთავარსა“. ამას ეგონა, რომ სწორედ ბოლგარიაში მივედიო, პოლიციის მოხელეები მინისტრებად მიიღო და ასეთის სიტყვით მიჰმართა:

> გრცხვენოდეთ! თქვენ უღალატეთ სამშობლოს, თქვენი სამშობლო მახეში გააბით, ევროპამ ბადე გვიგდო და შიგ გაგვხვია. ეხლავე ჯარი შეჰკრიბეთ და ბატენბერგზე გაილაშქრეთ.

განრისხებული „მთავარი“ დაარწმუნეს, რომ ყველაფერს უთუოდ ავასრულებთო და იმ ღამესვე საავად-მყოფოში გაჰგზავნეს, ჭკუაზე-შეშლილების განყოფილებაში. ექიმებს იმედი არა აქვთ, რომ უბედური კიდევ ჭკუაზე მოვიდესო.

უცხოეთი

ბოლგარია. გრაფ კალნოკის არ უნდოდა ბოლგარიის დეპუტაცია მიეღო და მიიღო-კიაო, ამბობს გაზ. „Новое Время“. ჩვენ დეპეშა მოგვივიდა, რომ ბოლგარიის მთავრობას ვენითგან არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდესო. გეჭვობთ, რომ ეს მართალი იყოს. ვენა ბოლგარიას ცხადად ამშვიდებს და ფარულად-კი აქეზებსო. ჩვენი დეპეშა ამბობდა, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს, რუსეთის ყოველივე სურვილი აღასრულოს და რუსეთის ნებას დაჰყვესო. ბოლგარიის მთავრობა კი წინააღმდეგობას მაინც თავს არ ანებებს, და ის ამბავი-კი, რომ გრაფ კალნოკს დეპუტაცია მიუღია, უფრო წააქეზებს ბოლგარებსაო.

— გაზ. „Nord“-ის პეტერბურგელი კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთს: რუსეთი სრულიად იმას არ არის მოწადინებული, რომ სტამბოლი დაიჭიროსო, რაში გამოიყენებს რუსეთი სტამბოლსაო. რუსეთს ის უნდა, რომ სრუტეები შეკრული იყოს და ხელ-შეუხებელი ყველა დიდთა სახელმწიფოთაგან. სულთანმა ითავოს ეს საქმე, დარაჯად დაუდგეს სრუტეებს, დაარწმუნოს რუსეთი, რომ სრუტეები ხელ-შეუხებელი იქმნება და რუსეთის მეტი მეგობარი და მოკავშირე ოსმალეთს ნუ უნდაო.

— ბერლინითგან დეპეშით აუწყებენ „Journal des Debats“, რომ ოსმალეთის ელჩი მოელაპარაკა გრაფ გერბერტ ბისმარკსა სამეგრელოს თავად ნიკოლოზის ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატობის გამო, და გრაფმა გერბერტმა უპასუხა, რომ ოსმალეთზე უფროა დამოკიდებული ეგ საქმეო: ოსმალეთს ნება აქვს იმ გზას დაადგეს, რომელსაც უფრო საკეთილოდ დაინახავს და რომელიც უფრო ჭკუაში დაუჯდებაო. გერმანია-კი სულთანის ყოველ გარდაწყვეტილებას მიიღებს, თუ ეს გარდაწყვეტილება მშვიდობიანობასა და წესიერებას ჩამოაგდებსო.

— პორტას დიდთა სახელმწიფოთათვის ცირკულიარი დაურიგებია და ამბობს: რადგან ბოლგარიის მთავრობამ სთხოვა პორტას, თქვენი კანდიდატი დაასახელეთ ბოლგარიის სამთავრო ტახტისთვის, პორტაც, საქმის უფრო ჩქარა გადასაწყვეტად, რუსეთის აზრისაა და თავის მხრივაც კანდიდატად სამეგრელოს თავადს ნიკოლოზს ირჩევს. პორტა სთხოვს დიდთა სახელმწიფოთ, თქვენც შემოგვიერთდით და ბოლგარიის მთავრად სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოვირჩიოთო.

ჩინეთი. გაზ. „National Zeitung“-ის სიტყვით, ჩინეთის მთავრობა იმის ზრუნვაში კი არ არის ამ ჟამად, რომ უფრო მეტი სამფლობელო ადგილები შეიძინოს,—ის ერთად-ერთი ფიქრი აწუხებს, რომ რასაცა ვფლობელობ, ის არავინ წამართვასო. ჩინეთში ინგლისის საელჩოს ქამს ულაპარაკნია, მაგალითებრ: ჯერ კიდევ ამ ოც-და-ხუთის წლის წინად ჩინეთის ესლანდელის იმპერატორის ბიძა და მეთაური მაშინდელის სარეგენტოსი, პრინცი კონგო შესჩიოდა

რებში ზოგს სხევბსა სჯობია და მაინც კი ვერაფრად მოსაწონია, კვირას, 30-ს ნოემბერს, წარმოადგინეს ჩვენს ქართულს თეატრში. ამ პიესას სახელად „ალერსთა ბადე“ ეწოდება და რუსულიდამ არის გადმოკეთებული. ქარგა, რომელზედაც ამოქსოვილია ხლართი (ინტრიგა) პიესისა, ერთი უფერული რამ არის. ერთს კარგ შეძლებულს სახლობას, რომელსაც შეჰკედლებია ახლო ნათესავი, სამსახურიდამ გამოსული კაცი თავისის ცოლითა, ერთად-ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავს. ამ ქალთან ერთად შეზრდილა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც სწავლა შეუსრულებია და მოსულა თავის გამზრდელების სანახავად. დედ-მამას ქალისას ძალიან უნდათ, რომ ამ ყმაწვილმა კაცმა შეირთოს მათი ქალი, რომელსაც ერთი მეზობლად მყოფელი მემამულე ყმაწვილივე კაცი უყვარს და უკვე ცოლ-ქმრობის პირობა აქვს მიცემული. დედ-მამა თან-შეზრდილის მოყვრობას უფრო ჰრჩეობს და გულის მოსაგებად დიდს პატივში ჰყავთ და ულოლიებენ. გამდელი, რომლის ხელშიაც ეს ყმაწვილი თითქმის გაზრდილა, და ის სამსახურიდამ დათხოვნილი ნათესავი თავისის ალერსით, დაჯე, შენი-ჭირიმე, ადევ, შენი-ჭირიმე, დაიძინე, გაიღვიძე, ეს იგემე, ანუ ისა, ხომ არავინ შეგაწუხა, ხომ თავი არა გტკივა და ათასი ამისთანა გულ-მტკივნეულობით დღე-მუდამ აბეზრებდნენ თავს. აქ თვითონ გასათხოვარი ქალიც ჩაერია და ცდილობდა ისე აჩვენოს თავი, რომ მითამ ძალიან უყვარს იგი, მაგრამ დიდად იჭეიანია, ანჩხლი, დაჟინებული და ჯიუტი. რაკი ამ ხასიათებს შეამჩნევსო, თვითონვე ადგება და ჩამომეცლება, რადგანაც კლდეზედ გადასაჩეხებს უფრო ირჩევს, ვიდრე ჩემს ცოლობასა და მაშინ ვისაც პირობა მიეც, იმას შეეირთამო.

ეს აბეზარი ალერსი და ლოლიება გამდლისა და ქალის ნათესავ-კაცისა და ზედ ახირებული ჭირვეულობა საცოლესი იქამდე მიიყვანს, რომ საწყალი ყმაწვილი კაცი ქალის სანდომს საქმროს გამოუტყდება და ეხვეწება, ერთი ამ ჯოჯოხეთს გადამარჩინეო, არც ამათი ქალი მინდა და არც ამათი ალერსიო. ქალის საქმრო გააპარებს ამ ყმაწვილს კაცს და თუმცა გამდელი სადღაც მოასწრობს და უკანვე მოიყვანს, მაგრამ ქალი მაინც თავის სასურველს შეირთავს და პიესა ამით თავდება.

ბ-ნი საფაროვისა გასათხოვარ ქალსა ჰთამაშობდა და, უნდა მოგახსენოთ, თავიდამ ბოლომდე კარგი იყო და ნამეტნავად მეორე და მესამე მოქმედებაში. არტისტიულად სასაცილო რამ იყო ბ-ნი გაბუნია გამდლის როლში. თვალ-წინ წარმოგვიდგა იგი ცოცხალი სახე ძველებურის გამდლისა, რომელსაც დღეს ძალიან იშვიათად სადმე-ღა შეხვდებით და რომელიც თან გადიყოლია ჩვენმა ძველმა დრომ. ხოლო საცინალის სალაზღანდაროდ გარდაქმნამ ბევრად წაუხდინა თამაშობა უკანასკნელს მოქმედებაში. ზედ დაეხურა გაპარულის ყმაწვილის კაცის შლიაპა, პალტო წამოესხა, უშველებელი ქოლგა გადეშალა და ისე შემოიყვანა ქურდულად წასული ყმაწვილი-კაცი. ამის დანახვაზედ, მართალია, თვითონ სცენაზედ არტისტებსაც ყველას სიცილი აუტყდათ და თეატრმაც ხარხარი დაიწყო, მაგრამ ეს ის სიცილი არ იყო, რომელსაც ესტეტიური გრძნობა იწყნარებს და ითხოვს. არტისტი ამ გვარად სიცილის ატეხას უნდა ძლიერ ერიდოს, თორემ არტისტობა, ბერიკაობად გარდაქმნილი, მეტისმეტად სამწუხაროა და დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ბ-ნს გაბუნიას, რომლისათვისაც ღმერთს დიდის სიუხვით მიუმადლებია შეუდარებელი ნიჭი არტისტობისა.

ბ-ნ აბაშიძის თამაშობა ძალიან მოგვეწონა. იგი ჰთამაშობდა ალერსით მობეზრებულ ყმაწვილ კაცსა. თვითონ სათამაშო მისი სასაცილო არ არის არც სიტყვის ქცევითა, არც მიმიკითა. თვითონ მისი ყოფა და მდგომარეობაა სასაცილო და, ჩვენის ფიქრით, ღირსება მისის თამაშობისა ის იყო, რომ ამ მხრით თავის როლს არც ერთხელ არ უღალატა, თუმცა კი ზოგან, მაგალითებრ იქ, საცა ბ-ნი აწყურელი, ნათესავის კაცი მოთამაშე, თავისის უადგილო-ადგილის გულმტკივნეულობით და დაშაქრებულის ალერსით თავს აბეზრებს, იქ შესაძლო იყო ბ-ნ აბაშიძეს მეტის სიცხოველით თვისი აბეზარად მოსვლა გამოეხატა.

ბ-ნი აწყურელიც არ იყო ურიგო, მაგრამ ერთგან როლი დაავიწყდა და ძალიან გვიან მოაგონდა. რაწამსაც შემოვიდა ბ-ნ აბაშიძესთან და ბ-ნი აბაშიძე ფეხზედ წამოუდგება, აწყურელს მაშინვე უნდა ეთქვა, დაბძანდი, შენი ჭირიმე, ნუ ირჯებიო, და ეს ასე გვიანა სთქვა, რომ ვილაცამ ჩვენს გვერდით წამოიძახა: ეა, აქამდე სადიყო, ეხლა დაინახაო?..

ბ-ნი მესხიევი ვერ იყო, ჩვენის ფიქრით, ისე კარგი, როგორსაც მოველოდებოდით. გულ-სწრაფობა და სიფიცხე, მკვახე სიტყვები, მოურიდებლობა, პირში თქმა მართლისა ვერ მოსდიოდა ისე, როგორც მოსდის ხოლმე პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ იშვენებს პირ-ფერობას და მართლის გამოსათქმელად არ არის ჩვეული სიტყვის კმაზეაზედ ტყუილ-უბრალოდ მოსცდეს.

დასასრულ, წაკითხულ იქმნა რამდენიმე ლექსი და გლეხური სცენები. რამოდენადაც პირველი ცოტად თუ ბევრად იყო მოსაწონი, იმოდენად დასაწუნი იყო მეორე. ლექსი კარგად და გარკვევით გვესმოდა. ხოლო სხვა-და-სხვა აზრს თავ-თავისი კილო ყველგან ვერ შეუწყო ლექსის—მთქმელმა და ამიტომაც უფრო ერთ ნაირობა კილოსი აწუხებდა სმენას, ვიდრე საჭირო მრავალ გვარობა ატკბობდა გლეხურმა სცენებმა ხომ სულ უგემურად ჩაიარეს.

ინგლისის ეჭხს, რომ რუსები ყოველთვის გვაიწროებენ ჩინელებს და განზრახვა აქვსთ, რომ ჩინელების ნამდვილი სამშობლო მანჩჟურიო წაგვართვანო. ეს არის მიზეზი, რომ ჩინეთი ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი მოკავშირე იშოვნოს და ამ გზით მკვიდრს ნიადაგზედ დააყენოს ჩინეთის ხელ-შეუხებლობა. ინგლისსაც ეს უნდოდაო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი. ესევე მიზეზი, რომ ამ ჟამად ჩინეთი და ინგლისი დაკავშირებულან, კავშირი ტიენზინში შეუკრავთ გენერალ-ინსპექტორს ჩინეთის სამზღვარ-გარეთის ტამოჟნებისას, სერ რობერტ გარტსა და ვიცე-კოროლს ლი-ხუნდ-ჩანგს. პირობად დაუდვიათ, რომ ჩინეთი ხელს არ შეუშლის ინგლისს ახლად შეძენილის ბირმანიის დამშვიდებასა და წესიერების მოყვანაში... ამავე მოლაპარაკების დროს ჩინელებს ლაპარაკი დაუწყვიათ ინგლისის მიერ გამილტონის ნავთ-სადგურის დაჭერის გამო ჩინეთის ნება-დაურთველად და დაუკითხველად. უნდა ვიცოდეთ, რომ თუმცა ინგლისი გამილტონის ნავთ-სადგურის დაჭერის დროს არ დაეკითხა ჩინეთს, არც ჩინეთს ამოუღია შემდეგში ხმა და თუ ახლა დაიწყეს ლაპარაკიო, ამბობს „National Zeitung“-ი, ისე, სიტყვის მასალად და იმიტომ, რომ მოაგონებინათ ინგლისელებისათვის: ჩვენ ინგლისის მიერ გამილტონის ნავთ-სადგურის დაჭერა გვახსოვსო და თუ ხმას არ ვიღებთ, ინგლისის პატივის-ცემისთვის არ ვიღებთ ხმასაო.

* * *

დეპეშა

2 დეკემბერი

ბერლინი. აქაც ბოლგარიის დეპუტაციას თუ მიიღებენ, არა-ოფიციალურად მიიღებენ და იმას ეტყვიან, რომ რუსეთთან პირ-და-პირ მოლაპარაკება და მორიგება ძრიელ კარგი იქნებოდა ბოლგარიისათვისაო.

ვენა. „Politische Corresp.“-ი გვაუწყებს: ბოლგარიის დეპუტაციას თავის მთავრობისაგან მოწერილობა მიუღია, რომ ჯერ ბერლინში ნუ წახვალთო, მოიცადეთ, მანამ ნაჩევიასაგან დარიგებას მიიღებდეთო. პეტერბურგში წასვლა დეპუტაციას არ მოუხდება, რადგან, როგორც ვიცით, დეპუტაციამ არა-ერთხელ ხთხოვა თავად ლობანოვ-როსტოვსკის შუამდგომლობა ამ საქმის შესახებ, მაგრამ სრული უარი უთქვამს ლობანოვ-როსტოვსკის, თუმცა კერძოდ თითონ კი უნახავს დეპუტაცია. დეპუტაცია ბერლინიდამ წავა იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც ბერლინის ხელთ-შეკრულობაზე ხელი აქვსთ მოწერილი.

3 დეკემბერი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ის დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია: „ბოლგარიის ამბებმა რუსეთის საზოგადოებასა და მწერლობაში ცხარე ლაპარაკი გამოიწვია: ეს გარემოება გასაკვირველიც არ არის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გაზეთებს ამ ამბების გამო მიზეზი მიეცათ და სჯა დაიწყეს იმ საპოლიტიკო ურთიერთობაზედ, რომელიც არსებობს ვითომ რუსეთსა და ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის. ზოგიერთი გაზეთები არა კმარობენ, რომ განსაჯონ საყოველთაოდ გამოაშკარავებული და უეჭველი გარემოებანი და ჰცდილობენ ზემოხხენებულის ურთიერთობის განსამარტებლად თავისი საკუთარი მოსაზრებანი და საგულებელნი გამოსთქვან; ამ მიზეზით, იმათი მსჯელობა, ასეთს საეჭვო ნიადაგზე დამყარებული, არა თუ მოკლებულია მიუდგომელობას, ურომლისოდაც შეუძლებელია რაოდენადმე რიგიანი შეგნება საპოლიტიკო საგნებისა, არამედ პირ-და-პირ ეწინააღმდეგება და ეპირისპირება ნამდვილს გარემოებასა და საქმეთა მდგომარეობას. ასეთის ხასიათისაა, სხვათა შორის, უფრო ის წერილები, რომელიც ამ ბოლოს დროს იბეჭდება გერმანიის პოლიტიკის თაობაზედ. ამ წერილებით სცდილობენ შთააგონონ საზოგადოებას, რომ ვითომ ბოლგარიის საქმის რიგიანად გადაწყვეტას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ჩვენდა საწინააღმდეგოდ იდუმალად მოქმედობდეს გერმანია; ამიტომ ამ წერილებში გერმანიას რუსეთის საშიშარ მტრადა ჰსახავენ და ამბობენ, რომ ამ ქვეყანას ბოროტი განზრახვა აქვს რუსეთის ღირსებისა და მშვიდობიანობის წინააღმდეგაო.

არ შეიძლება სამწუხაროდ არ ვიქონიოთ ასე უსაფუძვლოდ მიმართული ლაპარაკი. გერმანიასთან, როგორც თავის მახლობელ მეზობელთან, რუსეთი ბევრ-გვარის არსებითის ინტერესებით არის დაკავშირებული, რომელთ მეოხებითაც განწყობილება ამ ორს სახელმწიფოთა შორის ადრიდგანვე განმტკიცებულა და არა-ერთხელ აუტანია შეურყეველად განსაცდელნიცა. ამისთანა განწყობილება ერთ ნაირად საჭიროა ორთავ სახელმწიფოთა კეთილდღეობისათვის და ეს ერთ ნაირად კარგად იცის ორისავე მთავრობამ. ამიტომ სასურველია, რომ ამისთანა განწყობილება განგრძობილ იქმნას დიდის ხნობით. მტკიცედ განუზრახავს რა უწინდელებრ ჯეროვანის ყურადღებით მოექცეს გერმანიის საკუთარს ინტერესებს, საიმპერატორო მთავრობას სრული საფუძველი აქვს დარწმუნებული იყოს, რომ გერმანიაც თავის მხრით კვლავაც არ მოინდომებს იმისთანა მოქმედებას, რომელიც არ ეკადრება როგორც რუსეთის ღირსებას, ისე მის ინტერესებსაც ისტორიით გამოწვეული ჩვენსა და ჩვენთა აღმოსავლეთის თანამორწმუნეთა შორის. დარწმუნებულია, რომ ზედმოქმედება მისი მიმართული იქმნება მარტო საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად, იმ მშვიდობიანობისა, რომელიც ეგრე საჭიროა ევროპისათვის და რომელიც ამ გვარადვე შეადგენს რუსეთის ხელმწიფის და მისის ერის ცხოველს სურვილსა. რაც უფრო რთულია და საგრძნობელი საპოლიტიკო გარემოებანი, მით უფრო მეტი სიფრთხილე და გულ-დამჯდარობაა საჭირო მათთა აწონ-დაწონვისათვის და მაშასადამე მით უფრო ნაკლებ განსამართლებულია წინ დაუხედავი და კადნიერი სჯა, გამოთქმული ჟურნალ-გაზეთობის მიერ, რომელთა ხმაც მოკლებული არ არის მნიშვნელობას ხალხთა-შორის საქმეებში.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის.

4 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდ. ქალწ. მოწ. ბარბარესი. სომეხ. წმ. მამათა ეგვიპტელთა: პავლე, მაკარ და სხვ. ტფილისში ჭირი გაჩნდა და 4,000 კაცი იმსხვერპლა, 1770 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55—53. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 10—19, ჩადის 10—50.

5 დღე პარასკევი. წმ. საბა განწმენდილისა. კათ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. პეტრე ხრისოლ. სომეხ. მარხვაა. მოზდოკში დაარსეს საზოგადო ბანკი, 1874 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—22. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 11—36, ჩადის 11—28.

6 დღე შაბათი. წმ. ნიკოლოოზ საკვირველ-მომქმედისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. ნიკოლოოზისა. სომეხ. წმ. ნიკოლოოზ საკვირველ-მოქმედისა. სახელ-წოდება მ. უმ. მემკვიდრესი ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა, ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძისა და ნიკოლოოზ მიხეილის ძისა.—დიდი მთავარი მიხეილ ნაკოლოოზის ძე დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებელად, 1862 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 12—3.

7 დღე კვირა. წმ. ეპისკ. ამბროსისა. კათოლ. მეორე კვირა ადვენტისა. სომეხ. ალების-ლამე სურბ იაკობის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 12—46, ჩადის 12—38.

8 დღე ორშაბათი წმ. მოწ. სოსთენ, აპოლლოს და სხვ. კათოლ. მუცლად-ღება წმ. ანნასი, დედისა ყოვლად წმ. ქალწ. მარიამისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—51. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—34; მთვარე ამოდის 1—53, ჩადის 1—14.

9 დღე სამშაბათი. მუცლად-ღება წმ. ანნასი, დედისა წმ. ღვთის-მშობლისა. წინ.-მეტყ. სამუელ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—21. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—33; მთვარე ამოდის 2—59, ჩადის 1—47.

პეტერბურგის ბირჟა, 2-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანეთიანი ოქრო	—	—	8 მ. 82 კ.
ტამოჟნის კუპონები	—	—	171 მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	239 მან.
— მეორისა	—	—	221 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 ›	5 „	5 „ 25 ›
10 „	8 „ 75 ›	4 „	4 „ 75 ›
9 „	8 „ — ›	3 „	3 „ 50 ›
8 „	7 „ 25 ›	2 „	2 „ 75 ›
7 „	6 „ 50 ›	1 „	1 „ 50 ›

სამზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრაქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ЕЖЕДНЕВНОЕ ИЗДАНІЕ).

Съ 1-го января 1887 г., въ г. Тифлисѣ, будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ воскресныхъ дней, политическая, литературная и юридическая газета *„Кавказское Обозрѣніе“* (съ торгово-промышленнымъ отдѣломъ), по слѣдующей программѣ:

I. **Статьи по вопросамъ:** а) теоріи и практики права и судопроизводства, экономическимъ, финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, виноделію, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. **Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.**—III. **Судебное обозрѣніе** (судебные отчеты и кассац. рѣшенія).—IV. **Общественное Обозрѣніе** (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. **Тифлисское и Кавказское обозрѣнія** (новости и корреспонденціи).—VI. **Русское обозрѣніе.**—VII **Иностранное обозрѣніе.**—VIII. **Обозрѣніе русской и иностранной періодической печати;** критика и библіографія.—IX. **Торгово-промышленное обозрѣніе** (торгово-промышленныя свѣдѣнія и курсы).—X. **Фельетонъ:** романы, повѣсти, разсказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. **Послѣднія новости и телеграммы.**—XII. **Смѣсь.**—XIII. **Театръ и музыка.**—XIV. **Справочный указатель** (резолюціи Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ и пр.).—XV. **Объявленія.**

Газета будетъ помѣщать корреспонденціи изъ большей части городовъ и селеній Кавказскаго края, изъ С.-Петербурга, Москвы, Нижняго-Новгорода, Одессы, Варшавы и др. городовъ, а также Тегерана, Константинополя и Парижа.

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные и кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа въ Тифлисѣ: 1) *въ редакціи газеты*—Сололаки Нагорная улица, № 21; 2) *въ типографіи „Кавказскаго Обозрѣнія“*—Дворцовая улица, каравансарай (бывшій) Арцруни, и 3) *въ Центральной книжной торговлѣ.*

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою): на 12 мѣсяцевъ—12 руб., на 6 мѣс.—6 руб. 50 коп., на 3 мѣс.—3 руб. 50 коп., на 1 мѣс.—1 руб. 50 коп.—*Отдѣльные №№ по 5 коп*,—Объявленія—строка петита 5 коп., *при неоднократныхъ объявленіяхъ дѣлается уступка*

Газета будетъ печататься въ типографіи *„Кавказскаго Обозрѣнія“* (Н. И. Френкель). **Типографія исполняетъ всевозможныя типографскія работы.**

Редакторъ-издатель **А. С. ФРЕНКЕЛЬ.**

Дозв. ценз. Тиф. 3 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე